სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №52/01-01, 16.03.2018წ.
დანართი №1

# 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ბოლონიისა და ტუშას უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

კანდიდატები შეირჩევიან აკადემიურ პერსონალს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.
სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

3. კანდიდატების შერჩევა

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაცია
2. სამუშაო გეგმა

4. კომისიის შეფასება

ა)კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და სამუშაო გეგმის შეფასებას.
ბ)კანდიდატის მოტივაციისა და სამუშაო გეგმის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

| | |
|---|---|
| ბრწყინვალე - | 10 ქულა |
| ძალიან კარგი - | 9 ქულა |
| კარგი - | 8 ქულა |
| დამაკმაყოფილებელი - | 7 ქულა |
| საკმარისი - | 6 ქულა |
| არადამაკმაყოფილებელი - | 5 ქულა და ნაკლები |

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან სამუშაო გეგმა შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.